სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/161

ქ. თბილისი

28 ივნისი 2019

სტუ-ის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის დოქტორანტ ალექსანდრე დემეტრაშვილის სადისერტაციო ნაშრომის დაცვის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლის, სტუ-ის ინფომარტიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის დოქტორანტ ალექსანდრე დემეტრაშვილის 2019 წლის 18 ივნისის განცხადებისა და აკადემიური საბჭოს 2019 წლის 28 ივნისის №01-05-02/14 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის** აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:

1. სტუ-ის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის დოქტორანტ ა. დემეტრაშვილს მიეცეს სადისერტაციო ნაშრომის დაცვის უფლება; სწავლის საფასურის დავალიანების დაფარვა მოხდეს ა/წ სექტემბრიდან ეტაპობრივად;
2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **ა. ფრანგიშვილი**

აკადემიური საბჭოს მდივანი **გ. სალუქვაძე**